პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 ივნისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 112 (9779) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კარგ ტრადიციად იქცა კვირეულის ჩატარება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. ასეთი ღონისძიებების დღეებში განსაკუთრებით იზრდება საყოველთაო ინტერესი მასობრივი სპორტისადმი. ეს სურათები ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ ამ დღეებში გადაიღო თბილისში.

გუშინ სალამოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოდან გვაცნობეს: 12 ივნისს 11 საათზე რიუის ტერიტორიაზე სტარტს აიღებს საველოსიპედო ველოგადარბენა მარშრუტით: რიუე — ლენინის მოედანი — გამარჯვების პარკი — ცენტრალური ველოდრომი — საბურთალო — ველოტრეკი (კაბოს ძუჩაზე).

ველოსპორტის კვირეულთან დაკავშირებით ღონისძიებების გეგმა მოგვაწოდა თბილისის სპორტკომიტეტმა

9 ივნისი. ველოგარბენი. 175 სკოლა (11 ს.).

9 ივნისი. საბავშვო ბაღების პირველობა. № 145 ბაღის ეზოში (11 ს.).

10 ივნისი. მასობრივი ველორბოლა. შეკრება და სტარტი 300 არაგველის ობელისკთან. (12 ს.).

9-10 ივნისი. გასეირნება ველოსიპედებით და ფიგურული სვლები. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია (11 ს.).

10 ივნისი. ველოგარბენი საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის. კომუნარების ბაღი (17 ს.).

10 ივნისი. შეჯიბრებები ველორბოლაში მოსწავლეთა შორის. სტარტი 172 საშუალო სკოლაში (11 ს.).

9-11 ივნისი. 26 კომისრის რაიონის პიონერული ბანაკების პირველობა. შეჯიბრებას უმასპინძლებენ 87-ე, 139-ე, 172-ე და 178-ე საშუალო სკოლები. (12 ს.).

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა



წლეულს, 17-21 დეკემბერს თბილისში ჩატარდება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში ვაჟთა და ქალთა შორის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ინფორმაციით გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ელისეიკინი. აღინიშნა, რომ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი სოციალისტური ქვეყნების გარდა გამოთქვეს იტალიის, გფრ-ის, შვეიცის, საფრანგეთის, სამხრეთ კორეის, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. უცხოეთის რამდენიმე მსხვილი ტელეკომპანია გეგმავს ასპარეზობის ტელერეპორტაჟს.

სხდომაზე განიხილეს ჩემპიონატისათვის თბილისის სპორტის სასახლის მომზადების, ასპარეზობის სიმბოლიკით პროდუქციის გამოშვების, საორგანიზაციო კომიტეტში ცვლილებების შეტანის და სხვა საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ს. რიგვავამ.

ოლიმპიური წილისყრა

მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ სეულში გაიმართა ფინალური საფეხბურთო ტურნირის წილისყრა. შეიქმნა წინასწარი 4 ჯგუფი:

„ა“ ჯგუფი. ჩინეთი, გფრ, შვეიცია, ტუნისი.

„ბ“ ჯგუფი. ზამბია, ერაყი, იტალია, მექსიკა.

„ც“ ჯგუფი. სამხრეთ კორეა, სსრ კავშირი, აშშ, არგენტინა.

„დ“ ჯგუფი. ბრაზილია, ნიგერია, ავსტრალია, იუგოსლავია.

სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩს 18 სექტემბერს ქ. პუსონში გამართავს სამხრეთ კორეის გუნდთან, მეორეს — 20 სექტემბერს ქ. ტეგუში არგენტინელებთან და მესამეს — იმავე ტეგუში 22 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან.

თამაშების მონაწილეთა ნაკვალევზე

ხულ ახლახან დამთავრდა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ველოსპორტში, რომლის მასპინძელიც ჩვენი რესპუბლიკა იყო. თითქოს სიმბოლურია — დასრულდა ის შეჯიბრება და დაიწყო ველოსპორტის კვირეული. სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვებიდან“ გვაცნობეს, რომ იმ ტრასაზე, სადაც თამაშების მონაწილე ველოსიპედისტების ერთ-ერთი ეტაპი გადიოდა, ახლა ეწყობა ველოგადარბენა. ეს მარშრუტია: ზესტაფონი — ვანი — ზესტაფონი. მანამდე მოეწყობა გადარბენა მარშრუტით თბილისი—რუსთავი — თბილისი.

10-17 ივნისი ცურვის კვირეულია

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ და მაღალ დონეზე ჩავატაროთ ეს ღონისძიება

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის სპორტსახკომმა, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ძალოსნობაში — **კახი კახიაშვილს** (ცხინვალი, პროფკავშირები).

ძიუდოში — **ამირან ტოტიკაშვილს** (თბილისი, ასკ), **ავთანდილ გუბელაძეს** (ქუთაისი, „დინამო“).

კიდევ ერთი დიდოსტატი

ორიოდე დღის წინ ვიუწყებოდით, რომ კუბაში, ხოსე რაულ კაპაბლანკას მემორიალზე, შესანიშნავად გამოვიდა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მეტი არაფერი გვითქვამს, რადგან ასე მწირი იყო საკდესის ინფორმაცია. სინამდვილეში კი აზმაიფარაშვილს ორმაგი წარმატებისთვის მიუღწევია: მას 8 ქულა მოუგროვებია და ქულით გადაუჭარბებია ტურნირზე დაწესებული დიდოსტატის ბალისთვის და ვინაიდან ზურაბმა უკვე მეორედ შეასრულა დიდოსტატის ბალი, ფიდე თავის უახლოეს კონგრესზე (ნოემბერი, სალონიკი) ამ მაღალ წოდებას მიანიჭებს ქართველ მოჭადრაკეს. ჩვენ, „ლელოს“ მრავალრიცხოვანი მკითხველების სახელით, ვულოცავთ ზურაბ აზმაიფარაშვილს ამ დიდ მიღწევას და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ. ჭადრაკს გულშემატკივართ კი ვპირდებით, რომ, დაბრუნდება თუ არა ზურაბი სამშობლოში, შევახვედრებთ მასთან.

მფრინავ-კოსმონავტის გ. დობროვოლსკის პრიზზე

წინსვლა შეუჩერებლად

ბატუტზე ხტომა

ბატუტზე მხტომელი სუზანა ჭაუზერი (გფრ) ამ რამდენიმე წლის წინ ავარიაში მოჰყვა. ექიმებს დიდი ჯაფა დაადგათ რომ სპორტსმენისთვის მარცხენა ხელი შეენარჩუნებინათ. მიზანს მიაღწიეს, მაგრამ ჯერჯერობით სუზანას თითების და მკლავის მოხრა ძალიან უჭირს. გულშემატკივრებმაც და მწვრთნელმაც იმედი დაკარგეს, რომ იგი კვლავ დაუბრუნდებოდა სპორტს, მაგრამ მოხდა სასწაული, სუზანა ასე ადვილად ვერ შეელია ბატუტზე ხტომას და კვლავ დაიწყო ვარჯიში. თავიდან, ცხადია, უჭირდა წონასწორობის შენარჩუნება. თანდათან კოორდინაცია თითქმის თავიდან გამოიმუშავა... და აი, დღეს იგი ნაკრების წევრი და ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ბატუტზე მხტომელია. ოდესაში, გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე უცხოელ სპორტსმენთაგან ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სწორედ სუზანამ გაუწია. გერმანელი გოგონა წინმკლავის დროს მარცხენა მკლავს მარჯვენას ახმარდა. დახვეწილი მოძრაობით მაყურებელთა ტაშსაც იმსახურებდა. საბოლოო ანგარიშით მან მესამე ადგილის დაკავებაც შეძლო, თუმცა ამაში დებულებამაც შეუწყო ხელი, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს მხოლოდ ორი საპრიზო ადგილის დაკავების უფლება ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, სუზანას სპორტული თავდადება მხოლოდ ქების ღირსია.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა შეჯიბრება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს თბილისელებმა ანა დოღონაძემ და ლია ბენდიანიშვილმა. ანამ ორი ოქროს მედალი მოიპოვა (ინდივი-

იხ. მე.2 გვ.

სტიპლ-ჩეისი კვირას, 12 ივნისს

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება „სტიპლ-ჩეისი“ იპოდრომის პრიზზე. მონაწილეობენ სპორტსახკომის საცხენოსნო სპორტული ბაზის, სახალხო განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის, ქ. ზუგდიდის, ცხაკაიას და თბილისის იპოდრომის მხედრები.

ცხენთგამოცდის სეზონის პროგრამით კი ჩატარდება დოღები ინგლისური და ახალთექური ჯიშის ცხენების მონაწილეობით. გათამაშდება სახელობითი ჭილდოები. იმუშავებს ტოტალიზატორი.

უიგულის ურიგოდ შესაძენად გათამაშდება 2 ავტომანქანის ლატარეა.

დასაწყისი 12 საათზე.

ინფორმაცია

საფრანგეთის ქალაქ ტულონში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდული გუნდების მონაწილეობით. საბჭოთა ნაკრებმა მეორე ტურში მარცხი განიცადა ინგლისის თანატოლებთან შეხვედრაში — 0:1.

წინსვლა შეუჩერებლად

დასასრული

დუალურსა და სინქრონულში), ლიამ კი — ერთი (სინქრონულში).

შეჯიბრებას ერთგვარი დაღი დასვა იმან, რომ ორი კვირის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა და ამ შეჯიბრების მონაწილე ზოგიერთმა წამყვანმა სპორტსმენმა ახლა თავი აარიდა ასპარეზობაში მონაწილეობას. ბირმინგემიდან პირდაპირ ოდესაში გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონი რუსუდან ხოფერია, მაგრამ ასპარეზობის დაწყების წინ შეუძლოდ გახდა და გამოსვლა ვეღარ შეძლო.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ესპანეთის, შვეიცარიის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ბულგარეთის ბატუტზე მხტომელები. უძლიერესთაგან არ ჩამოსულა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში — ინგლისის ნაკრები.

მიუხედავად ამისა, შეჯიბრებაში ბევრი ტიტულიანი სპორტსმენი მონაწილეობდა. ქალთა ინდივიდუალურ ხტომებში საკალდებულო პროგრამის შემდეგ 26,4 ქულით დაწინაურდა ანა დოღონაძე. მას კვალში ჩაუდგნენ მსოფლიო ჩემპიონები ელენა კოლომეეცი (26,2) და ელენა მერკულოვა (25,7). მეხუთე იყო ლია ბენდიანაშვილი (24,3), რომელიც უკონკურსოდ გამოდიოდა. ნებისმიერი პროგრამა ყველაზე უკეთ მერკულოვამ შეასრულა. დოღონაძემ და კოლომეეცმა შესაბამისად II და III ადგილებზე გადაინაცვლეს (თბილისელი ბატუტისტი ახალი პროგრამით გამოვიდა და ოდნავი უზუსტობა დაუშვა). სამაგიეროდ, მეოთხე იყო ბენდიანაშვილი. ფინალში დოღონაძემ იგივე პროგრამა თითქმის უშეცდომოდ შეასრულა და 95,2 ქულით გაიმარჯვა. მას ორი მეათედი ქულით ჩამორჩა ელენა მერკულოვა.

კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ბენდიანაშვილმა, მან ჩამოიტოვა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი სინქრონულ ხტომებში ელენე კოლომეეცი, მაგრამ, როგორც უკონკურსოდ მოასპარეზეს, III ადგილი არ მიაკუთვნეს. თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დებულების თანახმად, მის ადგილს რომელიმე უცხოელი მხტომელი დაიკავებდა.



სინქრონულ ხტომებში შეჯიბრება ანა დოღონაძემ და ლია ბენდიანაშვილმა უფრო დამაჯერებლად მოიგეს. ჩვენს გოგონებს მხოლოდ სავალდებულო პროგრამით ასპარეზობაში არ ჩამორჩნენ უკრაინელები ციგულოევა და ვერბიცკაია (მათ ერთნაირი ქულები დაგროვეს), შემდეგ თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და ღირსეულადაც მოიპოვეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზე უკრაინელი სპორტსმენები გავიდნენ, ხოლო მესამეზე — ჩვენი ნაცნობი სუზანა ჰაუზერი და გაბი რაინშმიდტი.

ვაჟთა შეჯიბრებაში საბჭოთა ნაკრებში თბილისელი მიხეილ პელივანიდისი გამოდიოდა. იგი პირველი ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინალში ასპარეზობის დროს რიტმი დაკარგა. ამის გამო მალე ერთი ელემენტი შეცვალა და მეორე ადგილს დასჯერდა, რაც, ცხადია, კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი დიდხანს ავადმყოფობდა და ჯერჯერობით ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ არის.

სინქრონულ ხტომებში პელივანიდისი ნიკოლაეველ სერგეი ზუხოცევთან ერთად გამოვიდა. საკალდებულო პროგრამის შემდეგ ისინი I-II ადგილებს იყოფდნენ ლენინგრადელების ანდრეი დემენტიევისა და სტანისლავ ვორონინის წყვილთან ერთად, მაგრამ მომდევნო ვარჯიში სუსტად ჩაატარეს და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ბატუტზე მხტომელებისთვის ეს შეჯიბრება რიგით მეთექვსმეტე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონი რუსუდან ხოფერია სარბიელზე არ გამოსულა, ასეთი წარმატებისთვის მათ არასოდეს მიუღწევიათ. ეს ქართული ბატუტზე ხტომის სკოლის აშკარა წინსვლაზე მეტყველებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თენგიზ ხუდოევს, ზაურ სულაშვილს და ევრაპიდ გალჩევს.

ჯემალ კასრაძე.

SOS

ჩემპიონთა საჭიროებენ შველას ითხოვს

არ გეგონოთ, რომ კამოს ქუჩაზე მდებარე ველოტრეკზე მხოლოდ სიძველისადმი სიყვარულმა და პატივისცემამ მიგვიყვანა. თუმცა რატომაც არა? სარბიელი, რომელსაც შარშანწინ ახი წელი შეუსრულდა, სწორედ რომ მეტი პატივითა და მოწიწებით მოპყრობას იმსახურებს. მის ბილიკებს ხომ ჭაბუკ ლადო კავსაძის ნაკვალევი ატყვია. აღარაფერს ვამბობთ იმ საუკუნოვან ამაგზე, რაც ქართული სპორტის საადიდებლად აქვს გაწეული სარბიელს. აქ ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ჩემპიონთა მთელი პლეადები აღზარდა და მათ აღსანიშნავად ალბათ, სპეციალური დაფებიც უნდა დაგვედგა, მაგრამ ახე როდი ფიქრობენ ისინი, ვისაც ეს საქმე ეკალება.

ვიმეორებთ, მოსვლის მიზანი სულ სხვა იყო. საქმე ისაა, რომ ახლა მიმდინარეობს ველოსპორტის კვირეული, რომლის მიზანია მოსახლეობა „ორთვალა მეგობრის“ მადლს აზიაროს ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. ამ საქმის უპირველესი პროპაგანდისტი უნდა იყოს თვით სარბიელი, რომელმაც დიდი ემოციური ზეგავლენა უნდა მოახდინოს, რათა ხელახლა მოგინდეს მისვლა. ბაზა საგანგებოდ უნდა მოემზადოს, რომ საზეიმო განწყობილება შეუქმნას მიმსვლელს. სამწუხაროდ, ძველი ტრეკი დღეს ძალზე შორსაა მოთხოვნებისგან. მეტიც, ყავლგასული სათავსოები და საფარი აქვს, რომლის მოჯირი დიდი ხანია ავარიულ მდგომარეობაშია. მშენებელ-შემკეთებლებს კარგა ხანია ელის ფიზიკური მომზადების დარბაზი, მოშლილია გათბობის სისტემა და საკანალიზაციო კვანძი, რის გამოც შესახვლელთან ანტისანიტარია სუფევს. ტრეკზე იმის გამო, რომ არ არის განათება, არც საღამო ხანს შეიძლება ვარჯიში, ბილიკზე წყვდიადი ისადგურებს.

მშენებლები სარბიელზე არ ჩანანო, რომ ვამბობთ, ეს მთლად სწორი არაა, რადგან აქ შარშანაც ჩაატარეს რემონტი, მაგრამ იგი ძალზე ლოკალური მასშტაბისა გახლდათ — მხოლოდ ინვენტარის შესანახ „ბოქსებზე“ ჩამოკიდეს კარები. ეს იყო და ეს. ტრეკს კი კარგა ხანია კაპიტალური რემონტი სჭირდება. განმკითხავი არავინ ჩანს, სამაგიეროდ, ბაზისგან ბევრს ვითხოვთ.

ეს შელახული სარბიელი მაინც კეთილსინდისიერად ემსახურება ქართულ სპორტს. აქ მუშაობს თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის (290 მოზარდი), საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური სკოლისა (500) და „დინამოს“ ჯგუფები. ეს უწყებები ათიათასობით მანეთს იხდიან იჯარაში, სავარჯიშო პირობები კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საუნაზე, შარკოს საშხაპეზე, სხვა აღდგენით საშუალებებზე ოცნებაც კი გამორიცხულია. და ამ ფონზე რაოდენ დასაფასებელი და ძვირფასია აქ აღზრდილ ვასილ დავდიენკოს წარმატება, რომელიც მან ამ დღეებში ჭაბუკთა მეორე საკავშირო სპორტულ თამაშებზე მოიპოვა მრავალდღიან ველორბოლაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თბილისის ძველი ტრეკი სულს ღაფავს და მას სასწრაფო შველა სჭირდება.

რაც შეეხება ველოკვირეულს, როგორც ითქვა, მას უშუალოდ ბაზის დირექცია უნდა წაუძღვეს — მონაწილე-მსურველები უნდა უზრუნველყოს სარბიელით, ინვენტარით, მეთოდისტ-ინსტრუქტორითა და ა. შ. ძველ ტრეკზე კი კვირეულის ჩატარება, რატომღაც, ბავშვთა და მოზარდთა სკოლას, უფრო ზუსტად კი მის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ი. გოცირიძეს მიენდო (?!). ეს ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ ძველ ტრეკზე საქმისადმი სიყვარული, მონდომება და ერთგულება აკლიათ.

უშანგ ჯიჯინაძე.

უნივერსიადა-88

პოლიტექნიკოსთა ზუსტი ისრები

მშვილდოსანთა ასპარეზობის პირველი ორი დღე პირად პირველობას დაეთმო. შეჯიბრება ეგრეთწოდებული „ფიტოვსკის დიდი წრის“ სისტემით მოეწყო. წინასწარი ასპარეზობის შემდეგ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ფინალში 6-6 მშვილდოსანი გავიდა.

ბათუმში, ანგისის სპორტულ კომპლექსზე გამართულ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფიზიკური კულტურის, სამედიცინო, სპ-ს, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

ქალთა ტურნირში საუკეთესოდ გამოვიდა ბათუმელი ნაზი დიასამიძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. მან 300 ქულით (ფინალის შედეგი) უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი ირინა გრიგორიევა — 295 ქულა. მესამე ადგილი წილად ხვდა ლელა თოფურიას (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 288 ქულა.

ვაჟთა ტურნირში სამედიცინო ინსტიტუტის გუნდის წევრმა ვადიმ რეშეტოვმა გაიმარჯვა — 309 ქულა. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ კახა ჩიხლრია (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 304 ქულა და ლაშა შაკერხაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 302 ქულა.

გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესი იყო პოლიტექნიკოსთა კოლექტივი — 256 ქულა. მეორე ადგილზე გამოსული სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი გამარჯვებულს 68 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა — 149 ქულა.

ლევან ბაბუძარაძე.
(„ლელოს“ სპ. კორ.).

ჭაბუკ მოჭადრაკეთა საქართველოს გუნდური პირველობა

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ

ბათუმში დამთავრდა საქართველოს გუნდური პირველობის ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში 1976 წელსა და შემდეგ დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

ფინალი, რომელშიც აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, ზუგდიდის, ფოთისა და ცხაკაიას ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, ჩატარდა წრიული სისტემით, თითოეულ გუნდში 6 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო.

აგერ უკვე მრავალი წელია, მსგავს ტურნირებში წარმატებით გამოდიან თბილისისა და ქუთაისის მოჭადრაკეები, რაც სავსებით ლოგიკურია. პირველობის ბედიც მათ შეხვედრაში გადაწყდა. ეს მოხდა ბოლოსწინა, მე-6 ტურში.

ანგარიშით 5,5:2,5 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა (აკაკი სონგულია, დავით ლომიძე, გაგა ედიბერიძე, სევერიან კოღუაშვილი, ბექა სალდაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, სოფიკო ტყეშელაშვილი, ოლოლი ალხაზიშვილი. გუნდის მწვრთნელი გიორგი ქანთარია).

II ადგილზეა თბილისის — 39,5 ქულა, მესამეზე კი აფხაზეთის ნაკრები — 36,5. შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: IV — აჭარის ასსრ — 35, V — ცხაკაია — 20,5, VI — სამტრედია — 18,5, VII— ფოთი — 17,5, VIII — ზუგდიდი — 13.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 10 წლის დიანა დარჩია, რომელიც ჭაბუკთა I დაფაზე თამაშობდა და სავსებით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. რაც მთავარია, დიანას თამაშში აშკარა წინსვლა იგრძნობა და მომავალში მისგან ახალ წარმატებებს ველით. საერთოდ, აჭარაში კრიზისის შემდეგ საჭადრაკო მოძრაობაში აშკარა გამოცოცხლება იგრძნობა. ამ დღეებში ბათუმის სპორტის მესვეურთა და ქალაქკომის ხელმძღვანელთა ერთობლივი ძალისხმევით მწყობრში ჩადგა ბავშვთა მშვენიერი საჭადრაკო კლუბი.

ასპარეზობამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა მდგომარეობა გვაქვს რესპუბლიკაში ბავშვებთან მუშაობაში. აშკარად შესუსტდა მუშაობა ზუგდიდში. ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ რეგიონიდან წინათ სისტემატურად ვღებულობდით შევსებას რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის. ზოგ შემთხვევაში მუშაობის ჩავარდნას ობიექტური მიზეზები აქვს — ბაზების სიმცირე, ზოგან კი მწვრთნელთა დეფიციტი. მაგალითად, მახარაძის რაიონში არიან გამოცდილი მწვრთნელები, საჭადრაკო ბაზის მხრივ კი სივიწროვეა. აი, ფოთში კი, მშვენიერი საჭადრაკო კლუბი აქვთ, მაგრამ მწვრთნელები არა ჰყავთ. ზოგიერთი ნორჩი მოჭადრაკის თამაშის უაღრესად დაბალი დონე, რომელიც ფინალურ შეჯიბრებაში აშკარად შეიმჩნეოდა, აიხსნება საქმისადმი მწვრთნელთა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. ამ ასაკის ბავშვებისაგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არ მოვითხოვთ, მაგრამ როცა ბავშვი მწვრთნელთან 4-5 წლის განმავლობაში მეცადინეობს და ელემენტარულ საჭადრაკო სიტუაციებში ვერ ერკვევა, საგულისხმო და დამაფიქრებელია.

შეჯიბრების დროს ნორჩმა მოჭადრაკეებმა ფიზიკურ მომზადებაშიც ჩაბარეს გამოცდა. სამწუხაროდ, აქაც ბევრმა თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინა. ამ შემთხვევაში სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებსაც უნდა ვუსაყვედუროთ.

წელს, აგვისტოს ბოლოს ლატვიის ქალაქ კულდიგაში ტარდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა 1976 წელსა და შემდეგ დაბადებულ მოზარდთა შორის. თუ რამდენადაა გამართლებული ასეთ დაბალ ასაკში ამგვარი საპასუხისმგებლო შეჯიბრების მოწყობა — ცალკე მსჯელობის საგანია. ახლა მთავარი ისაა, მწვრთნელებმა და მოჭადრაკეებმა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ამ მეტად მნიშვნელოვან ასპარეზობას.

სულიკო მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

აბიტურიენტი-88 ● ფიზკულტურა მისალებ გამოცდებზე

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

● სად მივიღებთ აბიტურიენტები ჩათვლის ბარათს?

— მიმღებ კომისიაში. კომისიები 18 ივნისამდე მუშაობენ „ლოკომოტივისა“ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონებზე. 18 ივნისიდან იმუშავებს ყველა სპორტული ბაზა, რომლის ნუსხა გამოქვეყნდა „ლელოს“ 24 მაისის ნომერში.

● ვისაც სურვილი აქვს ჩაბაროს ცურვა, სად მიიღებენ ჩათვლას?

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზში (პირველ კორპუსთან) ყოველდღე (შაბათისა და კვირის ჩათვლით) 12-დან 15 საათამდე.

● სად შეიძლება ცურვაში თუნდაც ერთხელ მოვსინჯოთ ძალა, რომ დავრწმუნდეთ შეგვიძლია თუ არა დავძლიოთ ნორმატივით გათვალისწინებული მანძილი?

— ამისათვის საგანგებოდაა გამოყოფილი პირველი მაისის სასკოლათშორისო აუზი დიღმის მასივში (ტელ. 51-95-93) და „კიროვის რაიონში (ორთაჭალა) ასევე სასკოლათშორისო აუზი (ტელ. 72-52-35).

● განთავისუფლდებიან თუ არა ნორმატივების ჩაბარებისაგან ის აბიტურიენტები, რომლებიც რამდენიმე თვეში დედები უნდა გახდნენ?

— დიახ, განთავისუფლდებიან სათანადო ცნობის საფუძველზე და ბარათშიც ჩათვლა ჩაეწერებათ.

● რა უპირატესობით სარგებლობს ის აბიტურიენტი, რომელიც ჩათვლას მიიღებს ორი ნორმატივით და 9 ან 10 ქულას მოაგროვებს?

— ამ შემთხვევაში არავითარი დამატებითი შეღავათი არ არის გათვალისწინებული.

● ვთქვათ ნორმატივი ერთ სახეობაში პირველსავე ცდაზე ჩავაბარე და სურვილი გამიჩნდა გავუმჯობესო შედეგი. მექნება თუ არა ამის უფლება?

— თუ თქვენ აპირებთ ჩათვლა 9 ან 10 ქულით მიიღოთ (2 ნორმატივით) მაშინ განმეორებით ნორმატივის ჩაბარება მიზანშეწონილია, დანარჩენ შემთხვევაში არა.

ხვალ იწყება ევროპის 1988 წლის VIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი

ფინალისტები

5. ინგლისი

55 წლის რობერტ (ბობი) რობსონი ინგლისის საფეხბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სწორედ მან შეძლო აღედგინა ინგლისის ნაკრების საერთაშორისო პრესტიჟი, რომელიც გუნდს თითქმის სრულიად დაკარგული ჰქონდა. რობსონის ხელმძღვანელობით ნაკრები სისტემატურად აუმჯობესებს თამაშს, ახლა იგი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ფინალის საგზური ინგლისელებმა იოლად მოიპოვეს, სძლიეს ძირითად კონკურენტს — იუგოსლავიის გუნდს (2:0 და 4:1). 6 თამაშიდან 11 ქულა— ეს, რა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგი იყო.

ნაკრებს ორი საიმედო მეკარე ჰყავს. შილტონს (მას სექტემბერში 39 წელი შეუსრულდება), მართლაც, გასაოცარი რეკორდები ეკუთვნის. რად ღირს მარტო ინგლისის ლიგაში გატარებული 23 სეზონი, 800 კალენდარული მატჩი, 1000 თამაში პირველ ლიგაში (ამხანაგურების ჩათვლით). ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს შილტონი ნაკრებში, ალბათ, თავის მეასე მატჩს ჩაატარებს.

მაისის დასაწყისს ცნობილი გახდა, რომ ტრავმის გამო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ცნობილი ცენტრალური მცველი ბატჩერი, რაც დიდი დანაკლისი იყო. რობსონის განკარგულებაში რამდენიმე პირველხარისხოვანი მცველია: სტივენსი, სენსომი, მაბატი, ანდერსონი, ადამსი, პირსი.

შუა ხაზზე ეჭვს არ იწვევს გუნდის კაპიტნის ბრაიან რობსონის კანდიდატურა. 24 წლის უები ნაკრებისთვის შედარებით ახალი ფიგურაა. მას ოსტატური გადაცემები აქვს და საჯარიმო დარტყმების ბრწყინვალე შემსრულებლადაც ითვლება. სწორედ უების დაწინაურებამ გახადა სათუო ნაკრებში ისეთი ოსტატის თამაში, როგორიც ჰოდლი გახლავთ. ამ ხაზზე სხვა კანდიდატებია აქტიური, ენერგიით აღსავსე რიდი, მაკმაჰონი, სტივენსი, რომლის მოგვარე დაცვაში თამაშობს, ამასთან ორივეს გარი ჰქვია და მხოლოდ მეორე სახელით არჩევენ, პალისტერი.

თავდასხმის ლიდერი ლინეკერი „ბარსელონაში“ წლეულს არათანაბრად თამაშობდა, მაგრამ ინგლისის ნაკრებისთვის იგი შეუცვლელია. მისი პარტნიორები სხვებზე უფრო ხშირად არიან ბერდსლი და ბარნსი. შეკრებაში მონაწილეობდა კიდევ ერთი ცენტრფორვარდი — ჰეიტლი.

როგორი შედეგები ჰქონდათ ინგლისელებს ქვეჯგუფში თავიანთ მეტოქეებთან? ირლანდიელებს ისინი ცხრაჯერ შეხვდნენ და დიდი უპირატესობაც აქვთ — 5 მოგება, 3 ფრე და მხოლოდ 1 წაგება, გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება 18:8. ჰოლანდიელებს ინგლისელები 8-ჯერ ეთამაშნენ: 4 მატჩი მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს, ბურთების შეფარდება 15:7. 9 მატჩი გამართეს საბჭოთა ფეხბურთელებთან: 4 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 2 წაგეს, ბურთების შეფარდება 15:9.

6. ირლანდია

„ვისაც ევროპის ჩემპიონობის მოპოვება სურს, მან ინგლისის ნაკრები უნდა დაამარცხოს“ — ირლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელის ჯეკი ჩარლტონის ამ სიტყვებში უდავოდ არის თავისებური ლოგიკა. ინგლისელები ახლა მეტად ძლიერნი არიან, მაგრამ მკითხველს ნაკლებად ლოგიკურად მოეჩვენება ჩარლტონის შემდგომი მოსაზრება, რომ ინგლისელებს სწორედ ირლანდიელები დაამარცხებენ. ამის საფუძველს თუნდაც ამ გუნდების ადრინდელ შეხვედრათა შედეგები გვაძლევს: 9 მატჩში ირლანდიელებმა მოიგეს მხოლოდ ერთი, 3 ფრედ დაამთავრეს და 5 წააგეს, ბურთების შეფარდება 8:18. თუმცა, ჩარლტონი გვარწმუნებს, რომ გუშინდელი ირლანდიის ნაკრები ძალიან განსხვავდება დღევანდელისგან, რომ მისი მუშაობის 20 თვის მანძილზე ირლანდიელებმა მკვეთრად გააუმჯობესეს თამაში.

ირლანდიელები VII შესარჩევ ჯგუფში თამაშობდნენ. აქ მათზე მაღლა აყენებდნენ ბულგარელებს, ბელგიელებს და შოტლანდიელებს, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს შეხედულება სწორი არ იყო. ირლანდიელთა პირველივე შეხვედრა სტუმრად ბელგიელებთან ფრედ (2:2) დამთავრდა, მერე, როცა ირლანდიელებმა გლაზგოში შოტლანდიელებს სძლიეს (1:0), ეს უკვე პირველი ადგილის პრეტენზია გახლდათ. შემდეგ მათ მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოუგეს ბულგარელებს — 2:0 და ფინალში მაინც ვერ გავიდოდნენ, ფრიად მოულოდნელი ამბავი რომ არ მომხდარიყო: სოფიის მატჩში ბულგარეთისა და შოტლანდიის გუნდებს შორის მასპინძლებს ფრეც აძლევდათ ხელს, თამაშის დამთავრებამდე 3 წუთი იყო დარჩენილი, ანგარიში კი 0:0 გახლდათ. და აი, სწორედ მაშინ შოტლანდიელმა მაკკოილ გოლი გაიტანა და მასპინძლებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ერთი სიტყვით, ირლანდიელები ბეწვზე გადარჩნენ და ფინალში, შეიძლება ითქვას, სხვის მაგვარად მოხვდნენ. მეორე მხრივ, იმასაც არავინ დავობს, რომ მათი თამაში ქვეჯგუფში დამაჯერებელი იყო.

ირლანდიის ნაკრებში ასე თუ ისე მოგვარდა წამყვანი ნახევარმცველის ლაიამ ბრეიდის საკითხი. შესარჩევი ტურნირის მატჩში იგი მინდვრიდან გააძევეს და უეფა-მ 4 მომდევნო შეხვედრაში აუკრძალა მონაწილეობა, რაც ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ბრეიდი ევროპის პირველობაზე მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ირლანდიელთა პროტესტის შემდეგ უეფა, ცოტა არ იყოს, მოლბა და დისკვალიფიკაცია 2 მატჩით შეკვეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრეიდი ვერ ითამაშებს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის გუნდებთან და მხოლოდ მესამე მატჩში გამოვა — ჰოლანდიელთა წინააღმდეგ.

ჩარლტონის გუნდის ბირთვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოცდილი ოსტატებისაგან შედგება. მეკარე ბონერი (გლაზგოს „სელტიკი“) 28 წლისაა. იგი თითქმის უცვლელად თამაშობს. შარშანდელი 8 მატჩიდან მხოლოდ ორჯერ და ისიც აშკარად მეორეხარისხოვან მატჩებში, ჩარლტონმა კარის დაცვა ვეტერან პეტონსა და ახალგაზრდა ოჰანლონს მიანდო.

დაცვის ხაზი მცირე ცვლილებებს განიცდის. უფრო ხშირად მინდორზე გამოდიან უილანი, მაკგრათი, მორანი და მაკართი. მათგან დიდი სიმტკიცით გამოირჩევა ყველაზე გამოცდილი ცენტრალური მცველი მორანი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ირიცხება და ნაკრებში თავის მეორმოცე მატჩს ჩაატარებს. შუა ხაზზე ბრეიდისთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს 31 წლის ლოურენსონი, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით თამაშობდა „ლივერპულში“. თავდასხმაში ამჟამად უძლიერესებად ოლდრიჯსა („ლივერპული“) და სტეპლტონს („დერბი ქაუნთი“) მიიჩნევენ.

ირლანდიელი ფეხბურთელები საბჭოთა ნაკრებს ექვსჯერ შეხვდნენ. ირლანდიელებმა მოიგეს 2, წააგეს 4 (ბურთების შეფარდება 6:7). ჰოლანდიელებთან ისინი უფრო უკეთ თამაშობდნენ. 9 მატჩის შემდეგ ანგარიში თანაბარია. თითოეულმა მხარემ მოიგო ოთხ-ოთხი მატჩი და ერთიც ფრედ დასრულდა. თანაბარია ბურთების შეფარდებაც — 19:19.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

● **ზუსტად** 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანრი დელონემ უეფა-ს მორიგ კონგრესზე წინადადება წამოაყენა ევროპის საფეხბურთო თასის თაობაზე. ეს შეჯიბრება გაიმართა კიდეც, შემდგომში მას ევროპის ჩემპიონატი ეწოდა და სწორედ ამ ჯანგით იწყება ასპარეზობა 10 ივნისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში. რიგით ეს ევროპის მერვე ჩემპიონატია.

● **ევროპის** თასის პირველი გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი იყო ჩეხოსლოვაკიელი ტ. ბუბენჩიკი — 5 ბურთი.

თასის მეორე გათამაშებისა — ო. მადსენი (დანია) — 11.

ევროპის პირველი ჩემპიონატისა — იტალიელი ლ. რივა — 7 ბურთი.

მეორე ჩემპიონატისა — დასავლეთგერმანელი გ. მიულერი — 11.

მესამე ჩემპიონატისა — ირლანდიელი დ. გივენსი — 8.

მეოთხე ჩემპიონატისა — ინგლისელი კ. კიგანი — 7.

მეხუთე ჩემპიონატისა — ფრანგი მ. პლატინი — 9 ბურთი.

● **ევროპის** ყველა პირველობის საუკეთესო ბომბარდირთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. გ. მიულერი (გფრ) — 16; 2. ო. მადსენი (დანია) — 11; 3. მ. პლატინი (საფრანგეთი) — 11; 4. ლ. ელკიაერი (დანია) — 11; 5. ი. კრუიფი (ჰოლანდია) — 10; 6. კ. ვან ხიმსტი (ბელგია) — 9; 7. ზ. ნეჰოდა (ჩეხოსლოვაკია) — 9; 8. ჰ. კრანკლი (ავსტრია) — 9; 9. ფ. ბენე (უნგრეთი) — 8; 10. დ. გივენსი (ირლანდია) — 8.

● **მაყურებელთა** დასწრების ევროპული რეკორდი აღინიშნა გლაზგოში, სადაც 1968 წელს შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრას 134 ათასი მაყურებელი დაესწრო.

● **სსრ კავშირის** ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის თასისა და ჩემპიონატის ყველა ტურნირში, სულ გამართა 58 მატჩი, მათგან 8 — ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე.

● **ჩვენი** გუნდიდან პირველი ბურთი გაიტანა მოსკოველმა ა. ილინმა 1958 წლის მატჩში უნგრეთის გუნდთან.

შესარჩევ და ფინალურ მატჩებში ყველაზე მეტჯერ ითამაშეს ა. შესტერნიოვმა — 21, ო. ბლოხინმა — 20 (6 გოლი), მ. ხურცილავამ — 15 (2), ა. ბანიშევსკიმ — 15 (5), ვ. კოლოტოვმა — 15 (7) და ე. რუდაკოვმა — 5.

საკონტინენტო ჩემპიონატებში ჩვენი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია ვ. კოლოტოვი — 7 ბურთი, 6-6 გოლი გაიტანეს ო. ბლოხინმა და ვ. პონედელნიკმა. საბჭოთა ნაკრების კარს ყველაზე ხშირად იცავდნენ ე. რუდაკოვი (15), რ. დასაევი (14), ლ. იაშინი (10), ა. კავაზაშვილი (5).

● **ა. შესტერნიოვმა** საბჭოთა ნაკრები 15-ჯერ გამოიყვანა კაპიტნის სამკლაურით, 6-6-ჯერ — ვ. ივანოვმა და ა. ჩივაძემ, 4-4-ჯერ — მ. ხურცილავამ და ვ. კოლოტოვმა.

● **ევროპის** ჩემპიონატის ახლანდელ ტურნირში გატანილი პირველივე ბურთი 101-ე იქნება საბჭოთა ნაკრებისთვის.

● ● ●

● **ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის წინ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით გამოუშვეს ათასგვარი სუვენირი, წიგნები, ბუკლეტები, ყველა ფინალისტი გუნდის ფორმის ფერის მაისურები, ბურთები და ა. შ. ამ სუვენირებს შორის ყურადღებას იპყრობს ფირმა „სელვას“ მინიატურული სათები. ფეხბურთის ბურთის მსგავსი ეს ქრონომეტრი ფრიად ორიგინალური კონსტრუქციისაა. „სელვა“ დიდი პოპულარობით სარგებლობს გულშემატკივართა შორის.

● **ჩემპიონატის** ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს ფინალის მონაწილე ყველა გუნდის მოთამაშეთა საშუალო ასაკი: გფრ — 26,15 წელი, იტალია 24,55, დანია — 29,4, ესპანეთი —26,5, ინგლისი — 27,45, ირლანდია — 26,75, ჰოლანდია — 26,75, სსრ კავშირი — 27,6.

ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელები არიან ინგლისის ნაკრების 39 წლის შეკარე ჰ. შილტონი, ორი მელმა ერთანაბარი — 37 წლის ითამაშეს ბელგიელი — ფანი და ბელგიელი 38 წლის მცველი მ. ოლსენი.

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია იტალიის ნარების მცველი ჰ. მალდინი, რომელსაც 26 ივნისს 20 წელი შეუსრულდება.

● **მონაწილეთა** შორის არიან სხვადასხვა წლის ევროპის „ოქროს ბურთის“ მფლობელები ი. ბელანოვი (სსრ კავშირი) და რ. გულიტი (ჰოლანდია), ევროპის „ოქროს ბუცის“ მფლობელი ჰოლანდიელი მ. ვან ბასტენი.

● **მწვრთნელთაგან** ყველაზე ხანდაზმულია ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელი მ. მუნიოსი, რომელიც 65 წლისა შესრულდა. დანიელთა გუნდის მწვრთნელი ზ. პიონტეკი 60 წლისაა.

● **ევროპის** ჩემპიონატის ორგანიზატორები საგანგებოდ ემზადებიან საიმისოდ, რომ არ მოხდეს ინციდენტები და არ დაირღვეს ჩემპიონატის მსვლელობა. კერძოდ, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა (საფრანგეთი) განაცხადა, რომ გათამაშების ორგანიზატორებს, სამართალდამცველ და პოლიციურ ორგანოებს აქტიურად უნდა დაეხმარონ გულშემატკივრებიც, ეს საგანგებოდ ეხება 15 ივნისის მატჩს ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის. სწორედ ინგლისელი და ჰოლანდიელი ფანატიკოსები არიან ცნობილი აღვირახსნილობით. არ უნდა გამეორდეს ფანატიკოსთა საბალო ინციდენტი, რომელიც ინგლისისა და შოტლანდიის ამასწინანდელ მატჩში მოხდა. მაშინ მაყურებლები გადაცვივდნენ მინდორზე. ერთი კაცი მოკლეს, 90 დაიჭრა, 160 წესრიგის დამრღვევი დააპატიმრეს. ერთი სიტყვით, ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდების შეხვედრისას სტადიონზე პოლიციისა და სამხედრო ნაწილების დიდ რაოდენობას მოუყრიან თავს. საერთოდ, მკაცრი კონტროლი დაწესდება სტადიონზე შემსვლელთათვის, ორი ათასამდე პოლიციელი ოყარაულებს ჩემპიონატის ყველა მატჩზე.

არგენტინელი ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 21 წლის კლაუდიო კანიჯია იტალიის „ვერონაში“ ჩაირიცხა. „რივერ პლეიტის“ ყოფილ ფეხბურთელში იტალიის კლუბმა 2 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაიხადა.

ᲒᲤᲠ-ᲘᲡ საავტომობილო ფირმა „ოპელმა“ დაწესა სპეციალური პრიზი — „ოპელ ომეგა-3000“ ავტომანქანა, რომელიც გადაეცემა 25 ივნისს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშეს. პრიზის მფლობელს განსაზღვრავს ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები: უვე ზეელერი, პაულ ბრაიტნერი, მაქს მერკელი, ფრიც ვალტერი და იურგენ გრაბოვსკი.

ᲡᲝᲤᲘᲘᲡ „ვიტოშის“ ბომბარდირი, 25 წლის ნასკო სირაკოვი 800 ათას დოლარად ესპანეთის „სარაგოსამ“ შეისყიდა.

ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲘᲡ „ვერდერის“ 37 წლის მეკარე დიტერ ბურდენსკი ამთავრებს თავის კარიერას. გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან: პოლონელი ბონეკი, დანიელი ლერბი, ბელგიელი პფაფი, გფრ-ის ნაკრების ლიდერი მათეუსი და ევროპის სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები.

II ᲚᲘᲒᲐ

II ᲚᲘᲒᲐ, IX ᲖᲝᲜᲐ

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა მეცხრე ტურის მატჩები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 3:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ლუჩი“ (აზოვი) 3:2, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 2:1, „ლორი“ (ციროვაკანი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 2:0, „ისკრა“ (ერევანი)— „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ ოქ.	9	6	2	1	19-8	14
„ლოკომოტივი“	9	6	0	3	14-7	12
„სპარტაკი“ ტბ.	8	6	0	2	15-10	12
„სპარტაკი“ ნჩ.	8	5	1	2	12-7	11
„ლორი“	9	5	1	3	12-10	11
„მეტალურგი“	8	4	1	3	16-8	9
„კოლხეთი“	8	4	1	3	5-6	9
„ტორპედო“	9	3	3	3	13-12	9
„დინამო“	9	4	0	5	7-8	8
„ისკრა“	9	3	2	4	6-14	8
„ცემენტი“	8	2	4	2	9-9	8
„დრუჟბა“	8	3	1	4	12-6	7
„სპარტაკი“ ან.	8	3	1	4	8-14	7
„ვოლგარი“	8	3	1	4	6-12	7
„ნარტი“	9	2	3	4	12-12	7
„ლუჩი“	9	3	0	6	13-16	6
„მერცხალი“	8	3	0	5	7-14	6
„ოლიმპია“	9	3	0	6	9-17	6
„მაშუკი“	8	1	4	3	6-10	6
„ურალანი“	7	2	1	4	10-11	5

ცხრილში შეტანილი არ არის ელისტას „ურალანისა“ და მიიკოპის „დრუჟბას“ IX ტურის შეხვედრის ანგარიში.

12 გუნდის მონაწილეობით

წარმატებას მიაღწიეს თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებმა. „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკურ გათამაშებაში ამ სკოლის 1973 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა პირველი ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრეს.

12 გუნდი მონაწილეობდა ფინალურ გათამაშებაში, რომელიც თითქმის ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „ნორჩმა დინამოელმა“, 35-ე სკოლამ, თბილისის „შევარდენმა“ და რუსთავის „მეტალურგმა“. 35-ე სკოლის გუნდმა ნახევარფინალში დაამარცხა „შევარდენი“. მეორე ფინალის საგზური „ნორჩმა დინამოელმა“ მოიპოვა „მეტალურგთან“ შეხვედრაში. ფინალური მატჩის წინ გაიმართა შეხვედრა III-IV ადგილისათვის, „შევარდენმა“ სძლია „მეტალურგს“ — 1:0.

ფინალური შეხვედრის პირველი ნახევარი ფრედ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ 35-ე სკოლის თავდამსხმელმა გ. თვალოძემ გამარჯვების ბურთი გაიტანა მეტოქის კარში — 1:0.

ახლა გაგაცნობთ გამარჯვებული გუნდის მოკლე სავიზიტო ბარათს. უკვე სამი წელია რაც მას ნ. დოლიძე წვრთნის, გუნდი ქალაქის ჩემპიონი გახდა, 1988 წლის სეზონის დასაწყისში გაიმარჯვა აშხაბადში გამართულ დიდ საკავშირო ტურნირში, სადაც ჩვენი ქვეყნის 15 საფეხბურთო კოლექტივი მონაწილეობდა.

გამარჯვებული გუნდის ცენტრალური მცველი ზ. პაპიძე საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებშია მიწვეული, ხოლო შეკარე დ. ჯანელიძე ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებისთვის ემზადება.

„სიჭაბუკის თასის“ მფლობელი თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი.

ოლიმპიური შესარჩევი

კუალა-ლუმპური (მალაიზია). დაიწყო ქალთბურთელ ქალთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი ოთხ ჯგუფში. **I ჯგუფი.** სსრ კავშირი — ტაივანი 80:45, ბრაზილია — ესპანეთი 82:65, ჩინეთი — ანგოლა 113:56; **II ჯგუფი.** საფრანგეთი — ინგლისი 69:53, იუგოსლავია — ზაირი 82:47, ბულგარეთი — ტაილანდი 120:33; **III ჯგუფი.** იტალია — შვეიცარია 78:65, კანადა — ირლანდია 68:41, ჩეხოსლოვაკია — იაპონია 90:79; **IV ჯგუფი.** პოლონეთი — თურქეთი 57:36, ავსტრალია — ახალი ზელანდია 78:42, უნგრეთი მალაიზია — 101:53.

სპორტსკოლეებს შორის

უნივერსიტეტის საჭიდაო არენაზე ჩატარდა ქალაქის სპორტული სკოლების ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: დენის კურჯიევმა („ლოკომოტივის“ სპორტსკოლა), დავით აკოფოვმა (26 კომ. სახ. რაიონის სპორტსკოლა), დავით ოზბეთელაშვილმა („ლოკომოტივის“ სპორტსკოლა), რევაზ გოცირიძემ (26 კომ. სახ. რაიონის სპორტსკოლა), ვია ვახტანგაშვილმა, გია ცოტნიაშვილმა (ორივე — „ლოკომოტივის“ სპორტსკოლა).

რობინზონ ნუსხელაძე.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

სუპერფინალების რიგიც დადგა

გუშინწინ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ბოლო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდა თბილისის ორი გუნდი — „სინათლე“ და უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტელებს ამ ეტაპზე პირველი ადგილი ფაქტიურად განღდებული ჰქონდათ, აი „სინათლეს“ კი გამარჯვება მთავარი სუპერფინალის მონაწილედ ხდიდა. მატჩის მსვლელობაც სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა. „სინათლემ“ შეხვედრა დიდი მონდომებითა და თავგანწირვით ჩაატარა და გადამწყვეტ უპირატესობას პირველსავე ტაიმში მიაღწია — 59:36.

შესვენების შემდეგ მან ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაიღრმავა და გამარჯვებასაც მიაღწია — 111:81. ამ წარმატებით „სინათლემ“ პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ბერუაშვილი იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 25 ქულა შესძინა. უნივერსიტეტელთა მთავარი ბომბარდირი ამ დღეს ტალაბაძე გახლდათ — 21 ქულა.

რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ყველა ადგილი განაწილდა და სატურნირო ცხრილიც საბოლოოდ ასე გამოიყურება:

უნივერსიტეტი (თბ.)	**26**	**22**	**4**	**48**
„სინათლე“ (თბ.)	**26**	**21**	**5**	**47**
ქუთაისი	**26**	**20**	**6**	**46**
ფიზკ. ინსტ. (თბ.)	**26**	**19**	**7**	**45**
პოლიტ. ინსტ. (თბ.)	**26**	**18**	**8**	**44**
ხობუმი	**26**	**12**	**14**	**38**

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელს 11 და 12 ივნისს (თუ საჭირო გახდა 13 ივნისსაც) უნივერსიტეტისა და „სინათლის“ კალათბურთელები გაითამაშებენ. სუპერფინალური შეხვედრები მოეწყობა ბრინჯაოს პრიზიორის გამოსავლენადაც ქუთაისისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივებს შორის. პირველ ორთაბრძოლას ქუთაისელი კალათბურთელები თბილისში გამართავენ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი. რეგბიში

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ფინიშზე ქვეყნის ჩემპიონებსა და წლევანდელი გათამაშების ლიდერებს — ქუთაისის „მშენებლის“ რეგბისტებს ორი უძნელესი მატჩის ჩატარება მოუხდათ სტუმრად. მართალია გუნდს აკლდა რამდენიმე ძლიერი რეგბისტი, მაგრამ მწვრთნელმა დ. კავთელაშვილმა ისე გადაანაწილა მოთამაშეები, რომ გუნდის ძალას არა მოაკლდა რა. კიევში, სადაც „ავიატორი“ შარშან განცდილი მარცხისათვის რევანშს ეშურებოდა, თავი ისახელა მცველმა ოლეგ ჟორჟოლიანმა, რომელმაც გონივრული თამაშით მასპინძლებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ამ უაღრესად პრინციპული მატჩის ბედი კი გარე ნახევარმცველად მოთამაშე ძაგნიძემ გადაწყვიტა, რომელმაც თითოჯერ დაარტყა საჯარიმო და არეკნი. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა.

კიევიდან ჩემპიონები მოსკოვს ეწვივნენ და 38-გრადუსიან სიცხეში ერთ დროს საბჭოთა რეგბის ლიდერს, ამჟამად კი აუტსაიდერს, „ფილის“ ხვდებოდნენ. შესვენებამდე მეტოქეებმა ძაგნიძემ და კოროლიხინმა მხოლოდ თითო საჯარიმო გაიტანეს. მეორე ტაიმში ქუთაისელმა მორკინალებმა იძალეს, მათი კოლექტიური იერიში გრიგალავამ ლელოს გატანითაც დაგვირგვინა, ძაგნიძემ ზუსტად დაარტყა თითო რეალიზაცია, საჯარიმო, არეკნი და ჩემპიონებმა გიმარჯვეს — 15:6. ქუთაისელებმა პირველ წრეში პირველი ადგილი დაიკავეს.

ამ მატჩებში „მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: ჟორჟოლიანი; გაბრიჩიძე, ლიპარტელიანი, ხარშილაძე, ხამაშურიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ბაბუნაშვილი, ტურძელაძე, ლილუაშვილი, გრიგალავა, ოდიშარია, შვანგირაძე, ნაკუბია, ნემსიწვერიძე (გაბიძაშვილი).

• • •

თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა გუნდი კვირას მოსკოვში „ლოკომოტივს“ ეთამაშა. შესვენებამდე თავაზიანი ბეგენ ბაბუნაშვილის, მოსკოველმა ბუჯროიმ ერთი საჯარიმოთი უპასუხა. მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები, რომელთაც ამ მატჩში სამი წამყვანი რეგბისტი აკლდათ, 10 ქულით დაწინაურდნენ (13:3): ჯერ ხვედელიძემ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, შემდეგ გეგუჩაძემ გაიტანა ლელო. ამ მომენტიდან სტუმრებმა, რომლებმაც, საყოველთაო აზრით, ჩინებული რეგბი უჩვენეს მაყურებელს, მეტისმეტად ფრთხილად იწყეს თამაში, რითაც მოსკოველებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს: ვეტერანმა მცველმა დროკინმა ორჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, შემდეგ, 68-ე წუთზე, კარცევმა გაათანაბრა ანგარიში; 74-ე წუთზე დროკინმა არეკნით პირველად დაიწინაურა მასპინძლები — 16:13, მატჩის ბოლო წუთზე კი მოსკოველებმა მეორე ლელოც გაიტანეს და გაიმარჯვეს — 22:13.

სხვა მატჩების შედეგები: სსა — „ზვეზდა“ 48:9, ლენინგრადი — „ავიატორი“ 10:18, ეტს — ტირასპოლი 25:9, „სლავა“ — ასკ 12:9, სსა — ლენინგრადი 31:15 (VIII ტურის მატჩი), „ფილი“ — „სლავა“ 6:13 (X ტურის მატჩი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	
„მშენებელი“	11	10	1	0	32	(— 1)
სსა (მონინო)	11	9	0	2	29	(— 4)
„ლოკ.“ (მ.)	11	7	2	2	27	(— 6)
„ავიატ.“ (კ.)	11	8	0	3	27	(— 6)
„სლავა“ (მ.)	11	7	0	4	25	(— 8)
ასკ (ალ.-ათა)	11	5	2	4	23	(—10)
ეტს (კრას.)	11	5	1	5	22	(—11)
რრკ „ელმავ.“	11	5	1	5	22	(—11)
„ელ.“ (ტირ.)	11	2	1	8	16	(—17)
„ზვ.“ (ტაშ.)	11	2	0	9	15	(—18)
„ფილი“ (მ.)	10	1	0	9	12	(—18)
„ელ.“ (ლენ.)	10	0	0	10	10	(—20)

დღეს იწყება გათამაშების მეორე წრე. საქართველოს გუნდები მოსკოველებს უმასპინძლებენ: ქუთაისელები ეთამაშებიან „ლოკომოტივს“, თბილისელები — „ფილის“.

• • •

პირველი ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენმა“ VIII ტურის მატჩში უმასპინძლა ლვოვის „სოკოლს“ და დაამარცხა ანგარიშით 12:10, IX ტურში კი ტაგანროგში წააგო „რადუგასთან“ — 4:12.

გუშინწინ „შევარდენმა“ კიევის „პოლიტექნიკი“ მიიღო. თბილისელებმა მხოლოდ თამაშის მიწურულს გატეხეს მეტოქეთა წინააღმდეგობა და გაიმარჯვეს — 28:18 (7:6). სტუმრებმა 2 არეკნი და 4 საჯარიმო გაიტანეს: მასპინძლებმა კი — 3 ლელო (ჯანელიძემ, კალანდაძემ, თეზელაშვილმა), 2 რეალიზაცია და 4 საჯარიმო (ექვსიეე — კურატიშვილმა).



საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის მატჩები.

I ჯგუფი

„ივერია“ (ხაშური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ოსაძე, ღამბაშიძე („ივერია“), სიჭინავა („სამეგრელო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. ჩხეტია („სამეგრელო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი თ. ხადილავი (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მ. ორმოცაძე, ხოლო უხეში თამაშისთვის თ. ჯანგირაშვილი (ორივე — „ბახტრიონი“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 5:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი). გოლები: მარლიევი, ჩოჩიევი, ჯიოევი, ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი“), გოგოლიძე („მეტალურგი“).

„სპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ტ. გამყრელიძე, ხოლო დროის გაყვანისთვის — გ. ახალაძე (ორივე — „მეშახტე“).

„სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი). გოლები: პაიკიძე, დვალიშვილი („სულორი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2. მსაჯი გ. გაბისკირია (ხობუმი). გოლები: ჯიქია, ცირდავა, მაქაცარია-2 („დინამო“), ბესთავეი, წკრიალაშვილი („ქართლი“).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 4:4. მსაჯი მ. კობაიშვილი (თბილისი). გოლები: მერეჩკო, ბეს. უგულავა, ცუნიშვილი, ბად. უგულავა („მადნეული“), კუხიანიძე-2, ფესტვენიძე-2 („მადრევანი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: ჯუღელი, ანიაშვილი, გოგაძე (ფიზ. ინსტიტუტი), შამუგია („ამირანი“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:4. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლები: ჩიმაკაძე, მელია, ქომეთიანი, ჭიჭინაძე („კოლხეთი“), ჩიკინიოვი, ანთიძე, ღლონტი („სქური“).

„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (ბაგრა) 2:1. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი). გოლები: ჭუბაბრია, ბურვანიძე („ხალხინო“), ბოსტანჯიანი („დინამო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს რ. ბოსტანჯიანი და გ. ჭოხონელიძე (ორივე — „დინამო“).

„მადროელი“ (ჭიათურა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი). გოლები: გაჩეჩილაძე, სევასტოპულო-2 („მაღროელი“), ალანია („ეგრისი“).

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს თ. ალანია, დროის განზრახ გაყვანისთვის კი დ. ყურაშვილი (ორივე — „ეგრისი“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	14	10	3	1	18-7	23
„კოლხეთი“	14	10	1	3	33-17	21
„დინამო“	14	8	5	1	27-10	21
„მადნეული“	14	7	3	4	24-22	17
„შადრევანი“	14	6	5	3	18-13	17
„ამირანი“	14	7	2	5	23-14	16
„სამეგრელო“	14	7	1	6	19-20	15
„ხალხინო“	14	6	3	5	21-22	15
„ბახტრიონი“	14	6	3	5	16-17	15
„დინამო“ გ.	14	6	2	6	16-17	14
„მეშახტე“	14	6	2	6	12-14	14
„დურუჯი“	14	4	6	4	15-18	14
„მეტალურგი“	14	6	1	7	23-21	13
„მაღაროელი“	14	5	3	6	17-20	13
„სპოვნელა“	14	5	2	7	21-18	12
ფიზკ. ინ. თბ.	14	3	6	5	22-26	12
„ივერია“	14	4	3	7	14-22	11
„ქართლი“	14	4	3	7	18-28	11
„სპარტაკი“	14	3	3	8	19-22	9
„სქური“	14	3	3	8	16-24	9
„ეგრისი“	14	2	5	7	12-22	9
„არმაზი“	14	2	3	9	15-25	7

XV ტურის მსაჯთა რეესტრი

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური). **ვ. მიმინოშვილი, ვ. კლიშჩენკო, თ. სოფრომაძე** (თბილისი). „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **ვ. ეჯიბია, თ. კახიანი, დ. გვაზავა** (თბილისი). „არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (ზუგდიდი). **ვ. ალიევი, თ. კურტანიძე, გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სქური“ (წალენჯიხა). **შ. ხანიაშვილი, ი. კანდელაკი, გ. თხელიძე** (თბილისი). „კოლხეთი“ (ხობი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი). **გ. მიქაუტაძე, ვ. შელია, შ. მაჩიტიძე** (ქუთაისი). „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სპოვნელა“ (თერჯოლა). **ზ. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე** (მახარაძე), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „მეშახტე“ (ტყიბული) — „სულორი“ (ვანი). **ა. კოკაია, ა. მანუკიანი** (თბილისი), **რ. შემშენოვი** (ცხინვალი). „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მადნეული“ (ბოლნისი). **გ. კალანდია, რ. ნურნუმია, რ. ფარცვანია** (ზუგდიდი). „შადრევანი“ (წყალტუბო) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი). **ი. გობრონიძე, კ. ნულუკიძე, ვ. ტარაბიცინი** (ფოთი). „დინამო“ (ბაგრა) — „ეგრისი“ (ცხაკაია). **გ. თხელიძე, შ. ხანიაშვილი, ი. კანდელაკი** (თბილისი). „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **მ. გარნოვსკი, თ. ჯულაყიძე, მ. კვანტალიანი** (სამტრედია).

მე-13 ტურის მატჩში გორის რაიონის „ქართლსა“ და ვანის „სულორს“ შორის თამაშის ინსპექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის „სულორის“ ფეხბურთელი თ. ზენაშვილი სახიფათო შეტევის განზრახ ჩაშლისთვის მსაჯმა გააფრთხილა.

II ჯგუფი
აღმოსავლეთი ზონა

„არაგვი“ (დუშეთი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 4:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „თრიალეთი“ (წალკა) 0:0, „ფოსტამტი“ (თბილისი) — სსი (მუხრანი) 3:3, ასს (თბილისი) „ალუნი“ (ახალქალაქი) 2:4, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — სპი „დინამო“-3 (თბ.) 0:2, „მეფრინველე“ (კასპი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:0, „იმედი“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 2:1, უნივერსიტეტი (თბილისი) — „თორი“ (ბორჯომი) 2:1, „კახეთი“ (თელავი) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:0.

დასავლეთი ზონა

„ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „მამისონი“ (ონი) 5:0, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — **ხდკ (სამტრედია)** 3:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:1, პოლიტექ. ინსტ. (ქუთაისი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:1, „მზიური“ (გალი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 6:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:0.

III ჯგუფი
აღმოსავლეთი ზონა

„მარაბდა“ (კოდა) — „გარისი“ (თეთრი წყაროო) 1:0, „განთიადი“ (დმანისი) — „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი) 3:1, „თუშეთი“ (ახმეტის რ-ნი) — „ქიზიყი“ (სიღნაღის რ-ნი) 3:1, „მეტალურგი“-2 (რუსთავი) — „სინათლე“-სპორტინტერნატი (თბილისი) 1:6, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „შირაქი“ (წითელწყაროო) 4:1, „მიონი“-35 (თბილისი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:1, სპი (თბილისი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 2:2.

ცენტრალური ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „ხვამლი“ (ცაგერი) 0:0, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 2:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ორპირი-ოკრიბა“ (ტყიბული) 2:1, „ავტომობილისტი“ (გორი) — „ფეიქრი“ (წულუკიძე) 4:2.

დასავლეთი ზონა

„კოლხიდა“ (ქუთაისი)—„ბეთლემი“ (ქედა) 3:0, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაურის რ-ნი) 1:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ზანა“ (აბაშა) 6:2, უნივერსიტეტი (სოხუმი) — „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) 5:4, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 0:0.

• • •

იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებებში განმტკიცდეს დისციპლინა, ამაღლდეს ცალკეულ ფეხბურთელთა პასუხისმგებლობა, საქართველოს ჩემპიონატის დებულებაში შეტანილია დამატება:

„იმ შემთხვევაში, თუ კალენდარულ მატჩებში მოთამაშემ ორი გაფრთხილება დაიმსახურა, ან მსაჯმა იგი მინდვრიდან გააძევა, მას, წესისამებრ, გამოუტანენ შესაფერის სასჯელს, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ ფეხბურთელი ვალდებულია თამაშის წესები ჩაბარეს ფეხბურთის სამმართველოს, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მუშაკთაგან შექმნილ კომისიას. მხოლოდ კომისიის დასკვნის შემდეგ მიიღებს იგი ნებართვას ითამაშოს რესპუბლიკურ შეჯიბრებათა შემდგომ მატჩებში“.

„სპორტპროგნოზი“

22-ე ტირაჟის შედეგები
(29 მაისი)

სპორტლოტო ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 22-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 29 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.144.445 ვარიანტი. 13 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 12 შედეგის გამოცნობისთვის (17) მოგებამ შეადგინა 7.313 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (234) — 2.125 მანეთი.

22-ე ტირაჟის შოგებები გაიცემა 1988 წლის 18 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით.

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(წერეთლის გამზირი, № 2)

11 ივნისს
ფეხბურთი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი)

დასაწყისი 19.00 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 9 ივნისიდან, ორგანიზაციებში 9 და 10 ივნისს 10 საათიდან.

შიგნლდონავდ ცრი კვირით ადრე

რუგბრც ცნობილია, 20 ივნისს ლონდონის გარეუბანში დაიწყება უიმბლდონის ტურნირი — ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი, რომელსაც უკვე კარგა ხანია მინიჭებული აქვს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის სტატუსი. უიმბლდონის ტურნირი ბალახის კორტებზე ტარდება და მას საგანგებოდ შეჩვევა სჭირდება. ამ მიზნით ინგლისის ჩოგბურთის კავშირი უიმბლდონამდე ბევრ ტურნირს აწყობს, რომლებში მონაწილეობაც პრესტიჟულ საქმედ ითვლება.

ერთი ასეთი ტურნირი ამ დღეებში ბირმინგემში დაიწყო. საბჭოთა ჩოგბურთელი ქალებიდან წარმატებას მიაღწია მხოლოდ ს. პარხომენკომ, რომელმაც პირველ წრეში მ. იანგის (იაპონია) აჯობა — 6:0, 6:7, 6:1. სხვა ორი ჩვენი ჩოგბურთელი დამარცხდა ნ. ბიკოვა — ე. მინტერთან (ავსტრალია) 5:7, 4:6. ნ. მედვედევა — ჰ. ლუდლოფთან (აშშ) 2:6, 7:6, 3:6.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 66425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05384